№ 5 თბილისი, 1943 წ. თებერვალი. გამოცემის წელი XX. გამომცემლობა „კომუნისტი“ ფასი 50 კ.

# ნიანგი

ნახ. გ. ისაევისა

## საზამთრო კამპანია




უხვი ჭირნახულის აღება

## ფიქრნი ზღვისპირას

ნახ. მ. ვადბოლსკისა.



მუსოლინი — როგორ იცვლება ზამთარში მუზება: ეს ხმელთაშუა ზღვაც კი დავიწროვდა, როგორც „ჩემი ფართო გეგმები.“

## წინასწარმეტყველება

ამბავი, რაც კურტ ბითურკინდერს გადახდა, სულ ახალია, რამოდენიმე დღის წინათ მომხდარი. მიუხედავად ამისა, ახლა იგი უკვე ისტორიულია, იმიტომ ჩემო კარგებო, რომ ცხოვრება ახლა სწრაფი ტემპით მიდის წინ, ელვისებურად იცვლება და მოვლენებს, რომელთა განვითარებასაც სხვა დროს წლები სჭიროდა უცბად სცვლის, იტოვებს უკან.

ახლა თვით ბითურკინდერიც უკან ჩამოტოვებულია; აი, სულ რამოდენიმე თვის წინათ კი — კურტი თავს თავკაცად თვლიდა „ფიურერის“ ეგერთა ბატალიონში.

ვთქვათ, გერმანელთა ნაწილები შევიდნენ სოფელში. სოფლის ბოლოს ჯერ კიდევ ბრძოლაა. ბითურკინდერი კი უკვე ქოხებში დაძვრება, ძარცვავს. აგროვებს სამოვარს და თან კითხულობს:

— სად შეიძლება აქ შაშხის შოვნა?

„შოულობს“ კურტი შაშხს, ჰონსაც „შოულობს“, ტანსაცმელსაც, ოქროს ნივთებსაც „შოულობს“ — ესე იგი იტაცებს და ნაძარცვს უგზავნის ბერლინში თავის ჩასუქებულ, მწითურ ბერტას.

ამასწინათ კურტი სწერდა ბერტას: „ახლა მე სტალინგრადში ვარ, დავიპყარით ეს ვეებერთელა ქალაქი. წითელმა არმიამ შენი ჭირი წაიღო, ის მოვსპეთ და მაშასადამე, ჩვენი ოპერაციებიც მალე დამთავრდება. რაც შეგვეხება ჩვენ სტალინგრადის დამპყრობლებს დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ აქ ისტორიულ ამბავს ჩავიდენ...

კურტი ნამდვილი წინასწარმეტყველი გამოდგა. სტალინგრადთან მართლაც სულ მალე დაამთავრა ოპერაციები... წითელმა არმიამ. ბითურკინდერიც ალყაში მოხვდა. ჰიტლერის „უძლეველმა“ არმიამ იგრძნო აღსასრულის მოახლოვება. კურტმაც იგრძნო ის. როგორც ცეცხლმოკიდებულ ხომალდზე ვირთხა, ისე დაძრწოდა კურტი და კითხულობდა:

— სად შეიძლება აქ გაძვრეს კაცი და ზურგისაკენ გაიქცეს?

— აღარსად შეიძლება გაძრომა კურტ, ჩვენ რკალში ვართ, რკალი კი ყოველ წამში ვიწროვდება.

კურტმა ცხვირი ჩამოუშვა, კითხვითი ნიშანს დაემსგავსა, წკმუტუნობდა, ჩუმად სტიროდა.

აღარ გავაღრმავებთ — კურტის ამბის აღწერას იმიტომ, ჩემო კარგებო, რომ ცხოვრება სწრაფი ტემპით მიდის წინ, იცვლება წვრილმან მოვლენებს იტოვებს უკან.

მაგრამ რაკი დავიწყეთ, ბარემ დავამთავრებთ ამბავს, რომელიც კურტს ამ დღეებში გადახდა:

ეს იყო სტალინგრადის დიდ მოედანზე, ირგვლივ ჯერ კიდევ მიწის შემძრავი გუგუნი იდგა, გრგვინავდა ქვემეხები, ქალაქს ანათებდა შუშხუნები, ქუჩები მოფენილი იყო გერმანელთა გვამებით, ნალეწი ტანკებით, ჩამოყრილი მესერშმიტებით შენობებზე წითელი დროშები ხანძრის ენებივით ფრიალებდნენ. გმირულ წითელი არმიის ნაწილებს დაუსრულებლივ მოჰყავდათ ტყვეები, ათასობით ათიათასობით.

და აი, უცბად, მოედნის კუთხეში შიშისაგან თვალებდაჭყეტილი ამოგანგლული, დაკონკილი, გაუპარსავი ხელებაწეული ბითურკინდერი აკანკალებული მიდიოდა და კითხულობდა.

— სად შეიძლება ტყვედ ჩაბარდეს კაცი?

ის პასუხს ვერ ღებულობდა. მისთვის აღარავის ეცალა, რადგან ჩვენი შტაბისაკენ ასიათასობით მასავით ხელებაწეული გერმანელი ჯარისკაცი მოდიოდა. მათ წინ ოცდაოთხი ჰიტლერელი გენერალი მოუძღოდათ, ისინიც ხელებაწეულნი... ისინიც ტყვედ ჩასაბარებლად.

კურტს ხელები არ ჩამოუშვია, ისე შეუერთდა ტყვე ეგერთა ერთ-ერთ კოლონას. და მოაფრატუნებდა კურტი არაქათგამოლეულ ფეხებს და ფიქრობდა.

— რას იზამ? ესეც ერთგვარად ისტორიული ამბავია.

„ერთგვარად“ კი არა, ნამდვილად.

**ფარსადანი**

## ყორანმა უთხრა ყორანს

ყორანმა უთხრა ყორანს:
— „შავკაბავ, დაო, ჩემო,
როგორ გიამა დონთან
ახალ ფრიცების გემო?

რადაც მოწყენით ჩანხარ,
და უგუნებოთ ხვნეში,
რათა? ხომ ბლომადა გაქვს
არიელების ლეში!“

ყორანმა უხალისოდ
მიუგო ყორანს ისე,
ბევრს დავფრენ. ჩემო კარგო,
და ჩემო სიხალისე,

ბევრს დავფრენ, მარტო დონთან
ხომ არ მაქვს სამუშაო?
ყველა ფრონტებზე ახლა
ჩვენ სამკალი გვაქვს დაო;

სტალინგრადის და რჟევის
კავკასიის და ვოლგის,
არმავირ-შლისელბურგის
თუ ვორონეჟის ოლქის

ფართო ველებზე, სადაც
თვალი ძლივს გადასწვდება
ყოველ წამს უთვალავი
არიელთ ჯიში წყდება,

მეც, რა მრჯის, ერთ ადგილზე
რომ დავრჩე, გენაცვალე?
ხან აქ დავფრინავ, ხან იქ,
და ფრიცებს ვკორტნი თვალებს.

ჰო და მოგვეყირჭდა ფრიცთა
ჩვენ ლეში, გენაცვალე, —
და ველით, როს თვით ჰიტლერს
ამოვაკორტნით თვალებს.

ყორანმა ყორანს ღიმით,
უთხრა: — მე არა ვდავობ,
რომ „ფიურერის“ ლეშსაც
ჩვენ მალე ვნახავთ დაო,

მაგრამ ამას კი გეტყვი
და არ ინებო წყენა:
ცოფიან მხეცის მძორი
ხომ კუჭს აგვიშლის ჩვენა?

**ომახი მელგარიძე**

## მოვლენა ისგორც ის არის

ნახ. გ. ლომიძ[ისა]





როგორ ეხატება მას 1943 წელი, წითელი არმიის დარტყმების შემდ[ეგ]

# ეცა
## „ფიურერიიბაძვით“

**რომი.** უგზო-უკვლოდ დაიკარგაღლის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის კავალიერო პორთფულტალიის ფლოტის სარდლის „ჯანმრთელობის საკითხი“ დღეს ჯერ კი არ გამოურკვევია.

## შეხება

**ბერლინი.** სტალინგრადთან წით[ელი] არმიის მიერ ოცდა ოთხი გერმანელი გენერლის ტყვედ ჩავარდნასთან დაკავშირებით გერმანიის რეიხსკანცლერს ჰიტლერს ყნოსვის ორგანო 24 მილიმეტრით დაუგრძელდა.

## მუნჯი კინო

წითელი არმ[იის] კონტრშეტევების შესახებ ჰიტლერული პროპაგანდა ხტებოდა ერთი პოზიციიდან მეორეზე. ხან იგნორაციას უკეთებ[და] წითელი არმიის შეტევებს, ხან დაცინვით ხვდებოდა მას, ხანაც უარყოფდა. ახლა კი პანიკურად გაჰკივის და განგაშ[ს] ტეხს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჰიტლერელთა ჯარების დამარცხების შესახებ.

ნახ. ი. კროტკოვისა



1. არ ღირს ლაპარაკი



2. სასაცილოა



3. კატეგორიულად ვუარყოფ!



4. გვიშველეთ!..

## პაულიუსის ოცნება და სინამდვილე

ჩვენმა ჯარებმა შტაბიანად ტყვედ ჩაიგდეს სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების მე-6 არმიისა და მე-4 სატანკო არმიისაგან შემდგარი ჯგუფის სარდალი — გენერალ — ფელდმარშალი პაულიუსი, ფელდმარშლის წოდება პაულიუსმა რამდენიმე დღის წინათ მიიღო.

ვერაგ ჰიტლერის მასხარა,
ყოყოჩა პაულიუსი,
იბერებოდა თანდათან,
ვით ავ თვისების ფლიუსი.

და ბოლოს, როცა აამა
ფიურერს მეტის-მეტადა, —
და ფრიცთა ორი არმია
გასწირა გასაწყვეტადა.

როს სტალინგრადის ბჭეებთან
უგუნურება იჩინა,
ტყვედ ჩაბარების რჩევანი
მან დროზე არა ისმინა,

ამ სიბრიყვისთვის მიიღო
ფიურერისა წყალობა, —
ხაფანგში გაბმულს უბოძეს
ბანდიტთა ფელდმარშალობა.

მაგრამ ნათქვამი ძველთაგან
მოგეხსენება ყველასა:
ფრთების შესხმასთან ღვთის რისხვაც
მოელის ჭიანჭველასა.

ახალ ფელდმარშალს ოცნება
ჩამწარდა ავი დარებით,
პაულიუსი ვერ დასტკბა
ტემლაკებისა ტარებით.

ახალმა დარტყმამ შესცვალა
მისი აზრები ძველები,
იფიქრა: — „მოკლულ ფრიცებით
მოჰფინეს დონის ველები,

მეც მათი ბედი მომელის,
თუ თავს არ ძოვეშველები!“
ეს იფიქრა და მაშინვე
ზევით ასწია ხელები.

**მურმანი**

## ღამის საუბარი

ნახ. ი. კროტკოვისა




ეროვნული ბიბლიოთეკა


— ჰანს, რა გრძელი ღამეებია რუსეთში... ჩვენი მდგომარეობა აუტანელი ხდება.

— შენ გგონია, ოტო, როცა ღამე მოკლე იქნება, ჩვენი ტანჯვაც შემოკლდება? გულუბრყვილო ყოფილხარ.

## პუნქტი და კუტი

ბერლინის ერთერთ რაიონის სამობილიზაციო პუნქტის დირექტორი ოტო პუნქტენბერგი ჩვეულებრივ დროზე ად[რე] გამოცხადდა სამსახურში და ხელქვეითები გააფრთხილა, თუ დღესაც გუშინდელივით „ხელცარიელი“ დაბრუნდებით და არავინ მოვიდა, იცოდეთ შავ დღეს დაგაყენებთო. და მან უბრძანა თავის აგენტებს მოევლოთ რაიონი, ოჯახებში შეჭრილიყვნენ და მოეძებნათ ისინი, რომლებსაც „ტოტალური“ მობილიზაცია ეხებოდათ.

პუნქტის წინ ქუჩაში პლაკატები იყო გაკრული, რომ გამვლელებს წაეკითხათ მობილიზაციის შესახებ მოწოდებები, ბრძანებები, ლოზუნგები.

„უკიდურესათ დაძაბეთ თქვენი ძალღონე, რომელიც ამჟამად აუცილებელია, ვინაიდან ფრონტი უკიდურესათ ძაბავს თავის ძალებს!“ შავი ასოებით ეწერა ერთ პლაკატზე.

„აიღეთ ხელი ყოველგვარ ფუფუნებაზე!“ მოუწოდებდა მეორე პლაკატი მოსახლეობას. ამ პლაკატთან ორი მოქალაქე შეჩერდა.

— ხედავ, კარლ, რა წერია?

— დიახ, ვხედავ! ჩვენ ეს არ გვეხება. ვერ ავიღებთ ხელს იმაზე, რაც არა გვაქვს!

მესამე პლაკატი კი აფრთხილებდა ყველას:

„გავუსწორდეთ იმათ, ვინც თავს არიდებს ჰიტლერის მიერ გამოცხადებულ „ტოტალურ მობილიზაციის“ მოთხოვნათა შესრულებას!

გამვლელი შეჩერდა ამ პლაკატთან, თვალი მიმოავლო იქაურობას და ჩაილაპარაკა:

— სწორედ ჩემს მიმართ არის დაწერილი! იგი მიიმალა

პუნქტენბერგის სამუშაო დღე თავდებოდა, იგი ღელავდა და ბრაზობდა, რომ გუშინდელივით დღევანდელი დღე უშედეგოდ მიდიოდა. არც ერთი მოქალაქე პუნქტში არ გამოცხადებულა თავის ნებით. მხოლოდ რამდენიმე მოხუცი დაჭერილი მოიყვანეს, კაბინეტში მსახური შემოვიდა და პუნქტენბერგს მოახსენა:

— მოიყვანეს ჰერ! როგორ მოვიქცეთ?

პუნქტენბერგმა შუბლი გახსნა.

— მოიყვანეს! აჰა, ძალიან კარგი! აქ[ვ]ე დავიჭერთ ყველას, ვინც ხელისუფლების ბრძანებას გაურბის. მე ვაჩვენებ მათ, როგორ უნდა ემსახურონ ფიურერს! შემომიყვანეთ!

მსახური გაფითრდა.

— მაპატიეთ ჰერ! მე შევცდი. კი არ მოიყვანეს, არამედ მოიტანეს. საკაცეზე გდია. სამოცდახუთი წლის ბერიკაცია, კუტი, ფეხზე ვერ დადის.

პუნქტენბერგმა მსახურს თვალები დაუბრიალა; კაბინეტში შებრუნდა და ისეთი თვალებით მიაცქერდა ჰიტლერის სურათს, თითქოს მძიმე დანაშაულობისათვის პატიებას თხოვდა მას.

**ყუმბარა**

ნახ. დონისა



ვილჰელმ II-ის აჩრდილი:—სანამდე მიიყვანე გერმანია წელს?
ჰიტლერი—სანამდეც შენ მიიყვანე ის 1918 წელს.
ვილჰელმ II-ის აჩრდ.—თუ მე მზადავ, მაშ გერმანიიდანაც უნდა გაიქცე, მაგრამ შენ ხომ აღარც გასაქცევი გზა გაგიჩნია!

## გერმანიაში




— ასეთ შიმშილობას ვეღარ გადავიტანთ, პარიზში, ამბობენ, ყვავის ხორცი მაინც იყიდებაო,—ჩვენ ისიც არა გვაქვს.

## დონის ველებზე



1 ყვავი—იცი დათ, თურმე ფაშისტების საჭყაროში ჩვენი ხორცი ძვირად ფასობს.
2 ყვავი—სამაგიეროთ აქ ჩვენ მათ ხორცს ძალიან იაფად ვშოულობთ.

## სიმღერა ამანათზე

(რუსულიდან გადმოკეთებული)

მებრძოლებმა საჩუქრები
ბრძოლის შემდეგ დაირიგეს,—
ლებულობდნენ ამანათებს...
ვისგან იყო,—ვერ გაიგეს.
ერთ იმათგანს წმინდა შალის
ხელთათმანი შეხვდა წილად,
გაახსენდა,—მას უქსოვდა
დედამისი ასეთს წინად.
კიდევ შეხვდა წყვილ კოლოფით
პაპიროსი იმ არმიელს.
სთქვა:—მიუვა ასეთი რამ
ფრონტზე ფაშისტ ფრიცს,—არიელს?!
მებრძოლებმა პაპიროსი
გააბოლეს ხელად და სთქვეს;
ვის მიუძღვნათ მადლობაო...
იმსჯელეს და იკამათეს.

ამანათში დაკეცილი
ცხვირსახოციც ნახეს თეთრი,
გახსნეს იგი,—დაინახეს...
იღაცებდა მათ პორტრეტი.
იქნებოდა ოცი წლისა,—
და შვენოდა მას თმა ქერა,—
„მარუსია" თავის ხელით
სურათისთვის წააწერა.
და მას უთხრეს მებრძოლებმა:
„ხელთ აიღე მსწრაფლ კალამი,—
გაუგზავნე შენ მადლობა
და თან ჩვენგან მას სალამი.
მან მეგობრებს უპასუხა:
ჯერ ჩვენ ბრძოლა დაგვისახავს,
ვაიმარჯვებთ და რიაზანს
წავალ, იქ მას თვითონ ვნახავ.

ფარნა ქვემეხაური

## იერიში

გერმანელთა ერთი პოლკი
ვოლგის სანაპიროდან
უკან ისე გამორბოდა,
რომ მნახველი კვირობდა.
კმაყოფილი იყვნენ ფრიცნი,
რომ თავს ასე შველოდნენ,
ოფიცრებს კი მოწყენოდათ
ჯილდოს აღარ ელოდნენ.
ერთ ადგილზე, როცა რბენით
ფრიცთა გუნდი შეჯერდა,
ძველ მიწურში მთელი პოლკი
დაბანაკდა, შეჩერდა.
პოლკოვნიკმა ჯარისკაცებს
მოწოდებით მიმართა;
„ჩვენს წინაშე მარცხის შავი
ღრუბელი აღიმართა.
ასე რბენით ჩვენ არა თუ
მივაღწევთ გამარჯვებას,

ერთ კვირაში თვით ბერლინიც
ზურგის უკან დაგვრჩება.
მე სულ ვფიქრობ ამაზე,
სულ მარცხი მაგონდება,
თქვენს უკანსვლას რომ ვხედავ.
გული მწარედ ლონდება,
შეუტიეთ ისევ მტერს,
სწრაფად, თავგანწირულად,
გულს ნუ დამწყვეტთ, შვილებო,
მასახელეთ გმირულად!"
მოწოდებამ „შთანერგა"
ჯარში „აღფრთოვანება",
შეტევაზე გადასვლის
მას თან მოჰყვა ბრძანება...
წითელარმიელებმა
მტერს გული არ დასწყვიტეს,
არ დასტოვეს სინსილა,—
მთელი პოლკი გასწყვიტეს.

ხიმი

სარედაქციო კოლეგია.

Сатирико—юмористический журнал „Нианги". რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28 ტელ. 3-10-43,

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1943 წ. 19/II. ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28. გამოც. № 3 შეკ. № 127 ტუ 1469